

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №

___ ივლისი, 2021 წელი

ქალაქი ბათუმი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 108-ე მუხლის შესაბამისად, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაეცეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, “ISUZU BOGDAN A092” მარკის ავტობუსი: სარეგისტრაციო ნომერი DD530LL საიდენტიფიკაციო ნომერი Y7BA092014B000337; გამოშვების წელი 2004; ნარჩენი ღირებულებით 1467 (ერთი ათას ოთხასამოცდაშვიდი) ლარი, შემდგომში ქობულეთის მუნიციპალიტეტისათვის საკუთრებაში გადაცემის მიზნით.

2. ეთხოვოს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს უზრუნველყოს წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემული ქონების მიღებისათვის საჭირო ღონისძიებების გატარება.

3. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

სულიკო თებეძე

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი
პროექტის სახელწოდება და სათაური

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების
სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

- ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ
ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოვიდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2021 წლის 08 ივლისის №3120/02 წერილი, რომლითაც მოთხოვნილია, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ერთი ავტობუსის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადაცემა, შემდგომში ქობულეთის მუნიციპალიტეტისათვის საკუთრებაში გადაცემის მიზნით. საკითხთან დაკავშირებით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტს“ შორის განხორციელდა მიმოწერები შესაბამისად, შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტის“ ბრძანებით №14.14211394 (19.05.2021წ.) ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტს საკუთრებაში გადაეცა ერთი ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალება “ISUZU BOGDAN A092” მარკის ავტობუსი: სარეგისტრაციო ნომერი DD530LL; საიდენტიფიკაციო ნომერი Y7BA092014B000337; გამოშვების წელი 2004; ნაჩენი ღირებულებით 1467 (ერთი ათას ოთხასამოცდაშვიდი) ლარი.

მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, ქობულეთის მუნიციპალიტეტისათვის ხელშეწყობის მიზნით, ერთი ავტობუსის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის გადაცემა.

- ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

წინამდებარე პროექტის მიღების ძირითადი არსია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის ერთი ავტობუსის საკუთრებაში გადაცემა, შემდგომში ქობულეთის მუნიციპალიტეტისათვის საკუთრებაში გადაცემის მიზნით.

- ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

პროექტის განხორციელება არ მოითხოვს დამატებით ფინანსურ ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე პროექტის განხორციელება გავლენას არ მოახდენს.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო;

შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი“.

ე) პროექტის ავტორი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერიის მუნიციპალური ქონების და
სერვისების მართვის სამსახურის
უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

დავით კოპინაძე